07/10/2024

MES 9 24 0001281493

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 26 სექტემბერს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Sep 26, 2024 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/88984155049?pwd=Du6cLchDoPSaIcuLRhBYblvQdMT9yk.1
Meeting ID: 889 8415 5049
Passcode: 776892
საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
გიორგი ბარკალაია - რექტორი
თორნიკე ნატროშვილი - პროექტების მართვის ოფისის ხელმძღვანელი

სსიპ - კოლეჯი „ერქვანი“
ფრიდონ ბუაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
დარეჯან ჭელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ლიანა კერვალიშვილი - ზრდასრულთა კოორდინატორი
საბა ღუდუშაური - ჰესი რიცეულას (კომპანია საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი) ტექნიკური უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის მენეჯერი
სოფო ჩიტრეკაშვილი - საქართველოში განახლებადი ენერგიების სექტორში სამუშაო ძალის მომზადების პროექტის მენეჯერი
ნანა ცერცვაძე - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის კვლევების მენეჯერი, საქართველოში განახლებადი ენერგიების სექტორში სამუშაო ძალის მომზადების პროექტის კოორდინატორი კოლეჯებთან კომუნიკაციის მიმართულებით

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტი:
ქეთევან ჯანელიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძეს, რაზეც გიორგი გამყრელიძემ თანხმობა განაცხადა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „კინო განათების ტექნიკოსი“ /02011/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „კინო კამერის ოპერატორი“ /02012/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „კინოს მემონტაჟე“ /02013/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „კინოწარმოების სპეციალისტი“ /02014/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02097/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „კინო განათების ტექნიკოსი“ /02011/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „კინო კამერის ოპერატორი“ /02012/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „კინოს მემონტაჟე“ /02013/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „კინოწარმოების სპეციალისტი“ /02014/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 26 ივლისის №914214, №914209, №914210 და №914208 ბრძანებების საფუძველზე (ცვლილება 07/08/2024, №952151, №952142, №952144, №952147), პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ელისო ბარბაქაძემ და დარგის ექსპერტმა, ქეთევან ჯანელიძემ შეისწავლეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პროფესიული მომზადების პროგრამების „კინოგანათების ტექნიკოსი", „კინოკამერის ოპერატორი", „კინოს მემონტაჟე" და „კინოწარმოების სპეციალისტი" განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 26 და 27 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში, მისამართი: თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა, №11.

წარმოდგენილი პროგრამები შემუშავებულია „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის კინოსკოლის" პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება USAID-ის პროგრამა - „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" მხარდაჭერით. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამების - „კინოგანათების ტექნიკოსი", „კინოკამერის ოპერატორი", „კინოს მემონტაჟე" და „კინოწარმოების სპეციალისტი" - განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დარგის ექსპერტმა პროგრამებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ოთხივე პროგრამაზე ხარვეზი გამოვლინდა მატერიალური რესურსებისა და უსაფრთხოების ნაწილში, რაც იმით იყო განპირობებული, რომ გარემო, სადაც უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი აპარატურა და განხორციელდეს სწავლება, არ იყო სრულად მოწყობილი, შენობის რეკონსტრუქცია დასრულებულია, სარემონტო სამუშაოები ჩატარებულია, თუმცა სასწავლო სივრცეები არ იყო ბოლომდე გადატიხრული.

რაც შეეხება თვითონ აღჭურვილობას, რომელიც ამ სივრცეში უნდა განთავსდეს, დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უახლესი აპარატურა, რომელიც მსოფლიო თანამედროვე კინოწარმოების სტანდარტებს შეესაბამება, ეს აპარატურა უპრეცედენტოა ამ ეტაპზე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ამ მიმართულებით, ის უახლესი გადამღები აპარატურა, რომელიც ადგილზე გვაჩვენეს და ამ პროგრამებისთვის აქვთ პროექტის ფარგლებში შეძენილი, გამოსაყენებელია ყველაზე თანამედროვე კონოპროექტების გადასაღებად და დასამონტაჟებლად. მან ასევე განაცხადა, რომ ოთხივე პროგრამის ერთად თანაარსებობა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ შედეგის დადების პროცესში, იქ მყოფი ადამიანები ერთად იმუშავებენ, რაც განუვითარებს მსმენელებს ჯგუფური მუშაობის უნარებს, რომელიც კინოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ოთხივე პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მეხუთე, პროგრამების ხანგრძლივობა - 26 კვირა, პროგრამები ისეა აწყობილი, რომ საკურსო ნამუშევარი ერთად განახორციელონ მსმენელებმა და მათი სასწავლო პროცესი სინქრონში მოდიოდეს ერთმანეთთან. კვოტებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ოთხივე პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 15-15, თუმცა შეიძლებოდა მსმენელთა ზღვრული რაოდენობა სხვა მიდგომით გაეთვალა, შესაბამისად ვიზიტის დროს იმსჯელეს ამ საკითხზე და კვოტების რაოდენობა დაკორექტირდა, დაწესებულებას პარალელურად შეუძლია ჰყავდეს ორი ჯგუფი, იმდენად დიდი სივრცეებია, სადაც უნდა მოეწყოს სასწავლო გარემოები, ამიტომ „კინოწარმოების სპეციალისტის" პროგრამაზე, როგორც დარგის ექსპერტმა აღნიშნა,

გაითვალისწინეს შრომის ბაზრის მოთხოვნები და შეთანხმდნენ ზღვრული რაოდენობა განესაზღვრათ 45 მსმენელით. ოთხივე პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება და შერჩევის ფორმა - გასაუბრება, დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა შერჩევის და ჩარიცხვის წესი, აღნიშნული დოკუმენტი აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.

ასევე 1.2, 1.3, 1.4 და 1.5 ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია. ძალიან თანმიმდევრულად და კარგად არის წარმოდგენილი სწავლის შედეგები.

სწავლების ფორმატს და მიდგომებს რაც შეეხება, წარმოდგენილია მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები. თითოეულ პროგრამაზე ორი განმახორციელებელია მოაზრებული და ყველა განმახორციელებელს აქვს საკმაოდ მაღალი კომპეტენცია იმისათვის, რომ განახორციელოს სწავლება და შეფასება, ყველას აქვს სწავლების გამოცდილება. მხოლოდ ერთ პირს არა აქვს სწავლების გამოცდილება, თუმცა მას გავლილი აქვს საერთაშორისო ტრენინგები და უნივერსიტეტიც გეგმავს დამატებით ტრენინგების და ვორკშოპების შეთავაზებას განმახორციელებლებისთვის. დაწესებულება გეგმავს, რომ გარდა საკონტაქტო საათებისა, მოაწყოს თავისუფალი არტ სახელოსნოები, სადაც მსმენელს ექნება საშუალება, ის დავალებები, რომლებსაც მიიღებენ დამოუკიდებლად, საშინაო დავალების სახით განახორციელონ. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კავკასიის კინო სერვისთან, ეს არის ერთ-ერთი უმსხვილესი რენტალ კომპანია და არამარტო რენტალ კომპანია, ეს არის კომპანია, რომელიც სრულ სერვისს სთავაზობს კინოგადაღებისას და მემორანდუმი ზუსტად იმას გულისხმობს, რომ რეალურ სამუშაო გარემოში, რეალურ პროექტებზე ეს მსმენელები ჩაერთვებიან, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი, ერთია სააუდიტორიო სწავლება და მეორეა რეალურ ველზე უკვე გადასაღებ მოედანზე სწავლება. უნივერსიტეტს აქვს გვერდები სოციალურ ქსელში, უკვე არაერთი სიუჟეტი დაანონსდა ამ პროგრამებთან დაკავშირებით.

მე-3 სტანდარტის 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტი, გამოცდილების არარსებობის გამო, არ ექვემდებარება შეფასებას, რადგან დაწესებულება ახლა იწყებს მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელებას. მხოლოდ ორი რეკომენდაცია გაიცა პროგრამების „კინოგანათების ტექნიკოსი“ და „კინოკამერის ოპერატორი“ სახელწოდებასთან დაკავშირებით, თვითონ სიტყვა კინოკამერა და კინოგანათება იწერება ერთად და სასურველია, რომ ეს პროგრამების სახელწოდებაში ჩასწორდეს.

გამოვლენილ ხარვეზთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთი ეხებოდა სივრცეების მოწყობის საკითხს, ხოლო მეორე იყო სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა პირველი და მეორე სართულის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა კანონმდებლობის შესაბამისად.

ნანი დალაქიშვილმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ გამოაგზავნა საბჭოს სხდომამდე სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, რომელიც მიეწოდა საბჭოს, დასკვნა გაცემულია შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ორგანიზაციის მიერ და სავსებით მისაღებია, რაც შეეხება იმ სივრცეების გადატიხვრას, ეს საკითხიც მოგვარებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას კომენტარისთვის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა პროცესში ჩართული პირებს, აღნიშნა რომ სივრცეები არის გაკეთებული ისე, რომ სასწავლო პროცესს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი, მათ დაადასტურეს რომ მზად არიან სახელწოდებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და გაზრდილი კვოტები გაითვალისწინონ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა და აღნიშნა, რომ დამატებით წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, თვლის, რომ მეორე სტანდარტში მითითებული ხარვეზები გამოსწორებულია და შესაძლებელია, ოთხივე პროგრამაზე დადებითი გადაწყვეტილება იქნას მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „კინოგანათების ტექნიკოსი“ /02011/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს (ს/კ: 404987332) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კინოგანათების ტექნიკოსი /02011/ **(დანართი 1).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „კინოკამერის ოპერატორი“ /02012/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს (ს/კ: 404987332) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კინოკამერის ოპერატორი /02012/ **(დანართი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „კინოს მემონტაჟე“ /02013/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების,

მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს (ს/კ: 404987332) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კინოს მემონტაჟე /02013/ **(დანართი 3).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „კინოწარმოების სპეციალისტი“ /02014/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს (ს/კ: 404987332) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კინოწარმოების სპეციალისტი /02014/ **(დანართი 4).**

5. სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02097/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 3 სექტემბრის №1054199 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ლევან ლარცულიანმა შეისწავლეს სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ პროფესიული მომზადების პროგრამის „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ (ID 02097) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 5 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ „ერქვანში“, მისამართზე ქ. ამბროლაური, ვაჟა ფშაველას ქ. №10.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.8 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.8 - სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით

რეკომენდებულია პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდების გარდა, პროგრამის თემატიკის გათვალისწინებით, სწავლების პროცესში გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 28 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ამბროლაური, ვაჟა ფშაველას ქ. №10. პროგრამის პრაქტიკული ნაწილის განხორციელებაში ჩართულია შპს „რიცეულა ჰესი“.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ . სსიპ კოლეჯი „ერქვანის“(ამბროლაური) და კომპანია შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ მიერ შემუშავებულია „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ (28 კვირა) The operator of the hydro-mechanical part of the hydroelectric station (HPP), რომელიც საქართველოს ყველა რეგიონის ენერგეტიკული სექტორისთვის, დამსაქმებლებისთვის დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საუკეთესო საშუალებაა.

რაჭა - ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი მდიდარია ჰესების რაოდენობით „რაჭა ჰესი“, „რიცეულა ჰესი“, „ალპანა ჰესი“, „ლენტეხი ჰესი“, „ჩორდულა ჰესი“. შესაბამისად, შემდგომში კურსდამთავრებულს დასაქმების რეალური შესაძლებლობა აქვს. „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრომექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ კურსდამთავრებულებზე მოთხოვანაა მთელი საქართველოს მასშტაბით, რადგან ჰესები ყველგანაა და ყველგან საჭიროა კვალიფიციური კადრები.

„ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრომექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორის“ პროგრამის დანერგვა და განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ენერგეტიკული სექტორისა და მთლიანად, ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის, შესაბამისად, საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ, საქართველოს განახლებადი ენერგიების განვითარების ასოციაციასთან ერთად, დაიწყო მუშაობა პროგრამის შემუშავებაზე და განაცხადი შეიტანა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს “დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის” პროგრამის საგრანტო კონკურსზე დაფინანსების მოსაპოვებლად. შედეგად, პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავებისა და დანერგვისთვის მიიღო ფინანსური მხარდაჭერა გრანტის სახით.

პროგრამის სახელწოდება, მიზანი და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 28 კვირა, კვირეული სასწავლო დატვირთვა - 10 საათი. მსმენელების შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. თეორიული კომპონენტი შეფასდება - გამოკითხვით (ტესტირება), ხოლო პრაქტიკული კომპონენტის შეფასება განხორციელდება - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით. პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება შესაძლებელია პარალელურად ან/და მიმდევრობით 3 ჯგუფში.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.
პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია 15 მსმენელი, კოლეჯს აქვს აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო A გარემო, შესაბამისი ფართით, საჭირო ინვენტარით და აღჭურვილობით. ერთდროული სწავლების გათვალისწინებით, პროგრამაზე შესაძლებელია 15 მსმენელის სწავლების უზრუნველყოფა ერთ მიღებაზე. კოლეჯს პრაქტიკული ნაწილის უზრუნველყოფის მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს კომპანიასთან „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ (შპს „რიცეულა ჰესი“ და შპს „რაჭა ჰესი“), მისამართზე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სადმელი. შესაბამისად, კომპანია სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვისათვის მსმენელებს შეუქმნის სათანადო პირობებს, უზრუნველყოფოს კომპანიის მფლობელობაში არსებული ფართის, მატერიალურ ტექნიკური ბაზის და აღჭურვილობის გამოყენებას სასწავლო პროცესის განმავლობაში. უზრუნველყოფს მსმენელების უსაფრთხო სასწავლო გარემოს.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით - პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით, რაც ზემოთ აღინიშნა.
სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. პროგრამის დოკუმენტში მითითებულია სასწავლო რესურსი, ქართულენოვანი სახელმძღვანელოები.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ყველა ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით, თუ აპირებენ სწავლების მეთოდების დამატებას და გამრავალფეროვნებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ პირს, ვინც ამ პროგრამის შემუშავებაში იყო ჩართული, დარგის ექსპერტს, ცენტრის წარმომადგენლებს და დასძინა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას გაითვალისწინებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02097/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ: 222934671) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი /02097/ **(დანართი 5).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 13:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

დანართი 1

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02011	კინოგანათების ტექნიკოსი	პროფესიული მომზადება	მეხუთე	26	ქართული	30	ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №15

დანართი 2

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02012	კინოკამერის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მეხუთე	26	ქართული	30	ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №15

დანართი 3

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02013	კინოს მემონტაჟე	პროფესიული მომზადება	მეხუთე	26	ქართული	30	ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №15

დანართი 4

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02014	კინოწარმოების სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მეხუთე	26	ქართული	45	ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №15

დანართი 5

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02097	ჰიდროელექტრო სადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	28	ქართული	15	ქ. ამბროლაური, ვაჟა ფშაველას ქ. №10